საგანმანათლებლო პროგრამებში

ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში– „უნივერსიტეტი“) წინამდებარე დოკუმენტი - „საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები“ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამებში (შემდგომში – „პროგრამა“) ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესსა და პროცედურებს;
2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის და თუნინგის პროექტის მასალების გამოყენებით.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის შედეგების, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების, წინადადებების და პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული სხვადასხვა ინდიკატორის (პროგრამაზე ჩარიცხის დინამიკა; გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა; პროგრამის საფეხურითა და ხანგრძლივობთ გათვალისწინებულ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი და სხვ.) ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს და შესაბამის სკოლას;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებს განიხილავს სკოლის საბჭო და აძლევს მითითებებს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს/კოორდინატორს პროგრამაში ცვლილებების გათვალისწინების თაობაზე;
3. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველი უკუკავშირის გარდა შეიძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა დაინტერესებული მხარეების ინიციატივა, სფეროს განვითარების ტენდენციების გათვალისწინება, შრომის ბაზრის კვლევა, გარე შეფასება და სხვ.
4. მოდიფიცირებულ პროგრამას განიხილავს სკოლის საბჭო და დადებითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამას განსახილველად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი სკოლა სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც მუშავდება სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებით.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მოქმედ სტანდარტებთან და უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან;
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, პროგრამა უბრუნდება სკოლის საბჭოს;
3. შესაბამისი სკოლის საბჭო იხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას;
4. შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში ხდება ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამაში. ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ სკოლის საბჭო უბრუნებს მოდიფიცირებულ პროგრამას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცემა აკადემიურ საბჭოს;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში სკოლის საბჭო წერილობით წარადგენს შესაბამის დასაბუთებას. მხარეთა მოსაზრებებს განიხილავს აკადემიური საბჭო.

მუხლი 4. პროგრამაში ცვლილებების დამტკიცება

1. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ თუ მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსი და სხვ;
2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის და/ან სკოლის საბჭოს ინიციატივის საფუძველზე უნდა ეფუძნებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების

კვლევას ან/და სხვადასხვა რაოდენობრივი ინდიკატორის (პროგრამაზე ჩარიცხის დინამიკა; გარე მობილობით პროგრამაზე გადმოსული და პროგრამიდან გადასული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა; პროგრამის საფეხურითა და ხანგრძლივობთ გათვალისწინებულ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და სხვ.) შესწავლას ან/და მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსის შეფასებას;

2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ და შეიმუშაოს რეკომენდაციები მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ;

3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაასრულოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი;

4. საგანამანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი გამოსცემს იმ სტუდენტების სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანებას, რომლებიც ირიცხებიან აღნიშნულ პროგრამაზე;

5. ინფორმაცია სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში;

6. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოაცხადოს შიდა მობილობა და შესთავაზოს სტუდენტებს უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდამობილობის განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

7. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი უარს იტყვის უნივერსიტეტში შიდა მობილობის განხორციელებაზე, მას უფლება აქვს ისარგებლოს გარე მობილობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8. შესაბამისი სკოლა ვალდებულია მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და მიაწოდოს ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მობილობასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ;

9. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მოდიფიცირების ან გაუქმების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.